საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბიგა

ბიგა (Sorex), ძუძუმწოვარი ცხოველების გვარი მწერიჭამიასნაირთა რიგისა.

გავრცელებული არიან ევროპის, აზიის აფრ., ჩრდ. და სამხრ. ამერიკის სხვადასხვა ლანდშაფტში. საქართველოში გვხვდება 3 სახეობა: ჩვეულებრივი ბ. (Sorex araneus), რ-იც აერთიანებს რიგ ქვესახეობებს, მ. შ. საქართველოში მობინადრე – კავკასიურ ბ-ს (s. a. satunini), რადეს ბ. (S. raddei) და მცირე ბ. (s. minutus), რ-ის 2 ქვესახეობიდან საქართველოში გავრცელებულია ერთი – კავკასიური მცირე ბ. (S. m. volnuchini).

ბ-ები ბინადრობენ ტყეში, მინდორში, ველზე; რადეს ბ. ზოგჯერ ეზოებსა და სახლებშიც გვხვდება. საკუთარ სოროს არ თხრიან – სარგებლობენ მღრღნელების სოროებით ან ფესვებს ქვეშ არსებული ღრმულებით. იკვებებიან მწერებით, მათი მატლებით, ჭიებით, ლოკოკინებით, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვთ სოფლის მეურნეობისათვის.

ვ. ფიცხელაური